გასაგზავნად აკრძალული და პირობითად დაშვებული საქონლის ჩამონათვალი

- სახმელეთო ამანათით დაუშვებელია იმ საგნების, ნივთიერებების, ცხოველების, პროდუქტების ან მასალების გაგზავნა, რაც სტანდარტულად აკრძალულია საფოსტო გზავნილებით გაგზავნისას (https://www.gpost.ge/Content/ContentFiles/e95a4c9b40bc81a1d822ba4d41025f27.pdf). გარდა ამისა, ასევე <u>**დაუშვებელია შემდეგი საგნების გაგზავნა:**</u>
  - **თამბაქო და თუთუნი;**
  - **ხორცი და ხორცის ნაწარმი;**
  - **არაქარხნული წარმოების ნებისმიერი სითხე,** რომელშიც დუღილი არ არის დასრულებული ან ის გაზირებულია (მათ შორის: მადუღარი ტკბილი; მაჭარი; ცქრიალა ღვინო; ბადაგი და სხვა);
  - **ძვირფასი ლითონი და/ან ქვები, ასევე მათი ნაკეთობები;**

- <u>ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების/ნივთების გაგზავნა დასაშვებია მხოლოდ შემდეგი ოდენობით და პირობებით (თუ დამატებითი აკრძალვა არ მოქმედებს კონკრეტულ ქვეყანასთან მიმართებაში):</u>
  - **თაფლი არაუმეტეს ½კგ-სა;**
  - **ნებისმიერი სახის ყველი** - არაუმეტეს 2 კგ-სა (მოთავსებული ჰერმეტულად, დახურულ პლასტმასის კონტეინერში, სითხის გარეშე);
  - **ალკოჰოლური სასმელებიდან:** ღვინო და ლუდი, ჯამში არაუმეტეს 5 (ხუთი) ლიტრისა. ამასთან <u>არაქარხნული წარმოების</u> ასეთი სასმელი მოთავსებული უნდა იყოს პლასტმასის ბოთლ (ებ)ში ისე, რომ ერთეული პლასტმასის ბოთლის მოცულობა არ უნდა აჭარბებდეს 3 (სამი) ლიტრს, ხოლო, ღვინის საერთო მოცულობამ ერთ გზავნილში არ უნდა გადააჭარბოს 5 (ხუთი) ლიტრს; <u>ქარხნულად ჩამოსხმული</u> სასმელის (ღვინო და ლუდი) რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 2 (ორი) ბოთლს ისე, რომ საერთო მოცულობამ არ გადააჭარბოს 5 (ხუთი) ლიტრს.
  - **სხვა ნებისმიერი სახის ალკოჰოლური სასმელი** - არაუმეტეს 1 (ერთი) ლიტრისა. ამასთან, არაქარხნული წარმოების ასეთი სასმელი მოთავსებული უნდა იყოს პლასტმასის ბოთლში.
  - **სხვა თხევადი და ბლანტი სახის კვების პროდუქტები** - მოთავსებული პლასტმასის ბოთლებში;

- სახმელეთო ამანათით მედიკამენტების გაგზავნა (თუ დამატებითი აკრძალვა არ მოქმედებს კონკრეტულ ქვეყანასთან მიმართებაში):

- მედიკამენტების გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებელი სახმელეთო ამანათის სახით. მასთან ერთად სხვა რაიმე საქონლის/პროდუქტის გაგზავნა დაუშვებელია.
- **აკრძალულია ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების გაგზავნა.**
- **მედიკამენტების გაგზავნა დასაშვებია მხოლოდ ქარხნული შეფუთვით და არაუმეტეს 300 გრამისა. ამასთან:**

  ა) ერთი სახეობის აბები - არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათი) ფირფიტას;

  ბ) სხვა ტიპის (მათ შორის, სითხის შემცველი) მედიკამენტები - არ უნდა აღემატებოდეს 300 გრამს.

➢ სახმელეთო ამანათით დოკუმენტების გაგზავნა (თუ დამატებითი აკრძალვა არ მოქმედებს კონკრეტულ ქვეყანასთან მიმართებაში):

- **დაუშვებელია პირადობის დამადასტურებელი ნებისმიერი დედანი დოკუმენტის (პასპორტი; პირადობის მოწმობა; ბინადრობის მოწმობა; მართვის მოწმობა და სხვა) გაგზავნა. ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტი შესაძლებელია გაიგზავნოს მხოლოდ სხვა სახის საქონელთან/პროდუქტთან ერთად.**